№ 201 წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. შაბათი, 10 ენკენისთვე 1916 წ. № 201

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რეზე პეტიტით [illegible] კანელზე—10 კ., [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.
ფასი: ქალაქში ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ.
თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
გარეშეობით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габзева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

კვირას, 11 ენკენისთვეს, გარდაცვალებიდან 40 თვეზე,

**ეკატერინე ივანეს ასულის**

**სარაჯიშვილის**

სულის მოსახსენებლად დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის ძმები. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდისა 11 ნახევარზე, დილით. (2—324—1)

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

შაბათს, 10 ენკენისთვეს,

**ქართული წარმოდგენა და სიმებიანი ორკესტრი**

კვირას, 11 ენკენისთვეს,

**რუსულად „კაბარე" და საზანდარი**

ორშაბათს, 12 ენკენისთვეს,

**სომხურად ოპერეტა „ან ეს, ან ის"**

**და სამხედრო ორკესტრი**

დასაწყისი წარმოდგ. 9 საათზედ, სინემატოგრაფ. 8 ნახ. საათზე.
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
(3—246—2)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლაში**

**მიიღებენ ყოველ შეკვეთილს საქმეს**

კაბებს, წამოსასხამებს ქალებისას და ბავშვებისას, თეთრეულს და სხვა და სხვა ნაქარგს ხელსაქმეს.

თავისუფალი ალაგი მოწაფეთათვის მხოლოდ კურსებზეა, და მიიღებენ მოზრდილ ქალებს 16 წლიდან.

მისამართი: ვერა. გაბაანთ შესახვევი № 3.
(5—318—5)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

**კაფე პარიზი**

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის" ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში" შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

ადგილობრივი და უცხოური ხამბლები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ხ. გიგიბერია.

საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ღვინის საწყობი

**ნიკო გ. სესიაშვილისა**

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

**კახური ღვინო**

განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

**სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა**

**ქართულსა და რუსულს ენაზე**

| | | |
|---|---|---|
| I განყოფილება | — | მიმიკა და დეკლამაცია. |
| II „ | — | პლასტიკა და გიმნასტიკა. |
| III „ | — | თეატრის ისტორია. |
| IV „ | — | ესთეტიკა. |
| V „ | — | პრაქტიკული მეცადინეობა. |

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-პარასკევობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.
დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა.
(თ.—230—12)

**ახალი მელანი**

**კოტე ონიკაშვილისა**

მელანი ახლის ახალგაზდაც („კაპიროვკისთვის") კარგია
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ეღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო ჭურჭლით 40 მან.
სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.
**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ქ. ბათუმში

**ღვინით ვაჭრობა**

**„მელანი"**

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

**მასწავლებელი ქალი**

გამოცდილი რუსული ენის მასწავლებელი ქალი, უმაღლეს სწავლით, გადმოხვეწილი, პირობით იყვანს მოწაფეებს გაკვეთილების მისაცემად. თახმაა, ბინაზეც დადგეს, ანუ სადილის ფასში იმეცადინოს, თუ არა და ფულით. იცის აგრეთვე მუსიკაც, უკრავს როიალზე.
მისამართი: კახეთის ქუჩა, № 26 მეფისოვის აფთიაქი, მასწავლებელს ქალს ე. ა. ვ—ს.
(3—323—3)

ექიმი-დოსტაქარი

**ბ. მ. მუხაძე**

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი შთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი შთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

**ა. დ. შაჰაზიანცი**

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სად. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დოქტორი მედიცინისა

**მოსე ანთიმოსის ძე**

**კალანდარიშვილი**

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

**ფონ-ირტელი**

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914" და „606"

**შეშხაპუნება**

დ. ზესტაფონში

ექიმი

**დ. კ. მაჭავარიანი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

**ახალი აფთიაქი**

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

**მ. ი. ვაჩნაძე**

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

## ამიერ-კავკასიის ერობის თავგადასავალი

სრული ორმოცდა ცხრა წელიწადია, რაც გორის მაზრის თავად-აზნაურობამ აღძრა პირველი შუამდგომლობა, რომ საერობო წყობილება ჩვენს ქვეყანაშიც შემოეღოთ. მას აქეთ არ ყოფილა არც ერთი მარჯვე შემთხვევა, რომ იგი ხელიდან გაეშვათ და მთავრობისათვის არ მოეგონებიათ ერობის შემოღების გადაუდებელი საჭიროება. საბუთები არ სჭრიდა. ყოველი ცდა და ღონისძიება ამაო იყო. და დღესაც, მთელი ნახევარი საუკუნის ბრძოლის შემდეგაც, ჩვენი ქვეყანა ისევ ისე უერობო ქვეყანაა. ყველა დარწმუნდა, რომ ბიუროკრატიას ხელიდან ვერავინ ვერაფერს გააგდებინებდა, ვიდრე მას ტკბილი დღეები ედგომებოდა და მისი პირადი არსებობა ხიფათში არ ჩავარდებოდა, ვიდრე მას თავზედ რაიმე უბედურება არ დაატყდებოდა. რუსეთ-იაპონიის ომი და შემოყოლილი შინაგანი არეულობა ის პირველი უბედურობა გახლდათ, რომელმაც გასტეხა ბიუროკრატიის სიჯიუტე და საერობო ორგანიზაციის შემოღების თაოსნობა იმას ატვირთა, ვინც ნახევარი საუკუნე ყრუდ და მუნჯად უხვდებოდა მთელი ქვეყნის თხოვნა-მუდარას. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ბიუროკრატიის ამ თაოსნობას განზრახვად უფრო ხერხი და თვალთმაქცობა ჰდებია, ვიდრე ნამდვილი და გულწრფელი გადაწყვეტილება, რომ ბოლოს მაინც ამიერ კავკასია ღირსი გამხდარიყო ამ დიდი ხნის ნანატრი ერობისა. ასე, მაგალითად, კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მხოლოდ ორი წლის შემდეგ გასცა პასუხი იმ შეკითხვას, რომელიც პეტროგრადიდან 1911 წელს მოვიდა და შეეხებოდა კავკასიის ერობის საქმეს. ასე ჩქარობდა და გულწრფელობდა კავკასიის მეფის ნაცვალი, აწ განსვენებული გრაფი დაშკოვი; ასე ეთუთქებოდა გული მისდამი რწმუნებულ ხალხებისთვის ამ ქვეყნის ბრძენ მმართველს! მისმა ათი წლის მეფის ნაცვლობამ ძველ დროზედ უფრო ბედნიერი ვერ გაგვხადა. და ერობის მხრივ ძველ ყოფაში დარჩენილ ჩვენს ქვეყანას ახალმა დიდმა კატასტროფამ მოუსწრო. დღევანდელი ომი ის მეორე უბედურება გახლავთ, რომელიც თავს დაატყდა ბიუროკრატიას და რომელიც ალგვასა და განადგურებას უქადის არა მარტო მთავრობებს, არამედ მთელ ხალხებსაც. ბუნების წესი, მტრისგან შექმნილმა განსაცდელმა და ძრწოლამ ქვეშევრდომისადმი ლმობიერების გაღვიძება იცის; საკუთარი სიცოცხლის საფრთხეს ქვეშევრდომის შერიგებისა და დაახლოვების ჰსიხოლოგია მოაქვს. და ჩვენშიც ერობაზე ლაპარაკი კვლავ გაცხოველდა. ამ შემთხვევაში ცდა და ღონისძიება უფრო ენერგიული მოსჩანს, მთავრობაც უფრო მონდომებულია.

მისმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ ზეიმურად განაცხადა მისავე სასახლეში მოწვეულ საერობო თათბირისადმი მიმართულს მისალმების სიტყვაში, რომ იგი თანაუგრძნობს ამიერ-კავკასიაში ერობის შემოღებას. დღეს საერთო სახელმწიფო მდგომარეობაც გულისხმობს ამგვარ რეფორმის საჭიროებას და შეიძლება ამ ორმოცდა ათი წლის თავზე, დილიდან პირველი შუამდგომლობის აღძვრისა, ღირსნი გავხდეთ რუსეთის ხალხთან გათანასწორებისა და მოგვეცეს ეს რაღაც ბედუკუღმართი ერობაა.

მაგრამ აქ მოულოდნელი რამე გამოტყვრა. რუსის საზოგადოებას თავისი „ლიბერალობა" ჩვენზე გაახსენდა და ძალად მაცხონეობას შეუდგა.

აქამდის რუსეთის საზოგადოებას ხმა არ ამოუღია, რომ ჩვენს ქვეყანაზედაც გავრცელებულიყო ის საერობო წყობილება, რომელიც მას მესამოცე წლებიდან აქვს; იგი არც თითონ ცდილა და არც აღძრულ შუამდგომლობისთვის მხარი მიუცია, რომ რაც რუსობას შინ ჰქონდა, ის ქართველობას, თათრობას, სომხობას და სხვას მისცემოდა ამიერ-კავკასიაში. დღეს, როდესაც კავკასიის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მოითხოვს კავკასიაში დაუყოვნებლივ იმ ტიპის საერობო ორგანიზაციის შემოღებას, რომელიც რუსეთში არსებობს, და როდესაც მთავრობის მხრივ ამ მოთხოვნის განხორციელებას გზაზე დიდი დაბრკოლება არ ხვდება, რუსის ლიბერალი საზოგადოება გვეუბნება, რუსეთში არსებული ერობა უვარგისია, თქვენ უკეთესი მოითხოვეთო. და ყოველის საშუალებით ებრძვის კავკასიის მკვიდრთა უმრავლესობას, რომელსაც თვის თავის გაჭირვება და მდგომარეობა უკეთ მოეხსენება, ვიდრე რომელიმე რუსის ინტელიგენტს. ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ რუსის ლიბერალ ინტელიგენციას უფრო შესტკიოდეს გული ჩვენზე, ვიდრე თავისიანებზე.

არ შეგვიძლია ეჭვის თვალით არ შევხედოთ იმ ლიბერალობას, რომელიც რუსის საზოგადოებას თავისიანებისთვის ავიწყდება, ხოლო ჩვენ ძალიან თავზე გვახვევს. აბა რუსის საზოგადოების რომელმა ლიბერალმა ნაწილმა ასტეხა განგაში, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინად სახელ. სათათბიროს 33 წევრმა განცხადება შეიტანა, რომ ასტრახანის გუბერნიაში მთავრობას შემოეღო 1890 წლის 12 ივნისის დებულების ერობა?! ვინ, ან როდის ასტეხა განგაში იმავე ლიბერალობის სახელით, იმ განცხადების წინააღმდეგ, რომელიც 54 დეპუტატმა შეიტანა არხანგელსკის გუბერნიაში 1890 წლის ერობის შემოღების თაობაზე? აბა როდის გასწია კამპანია ან „რეჩმა", ან „რუსკია ვედომოსტმა", ან „რუსკოე სლოვომ" იმ განცხადების წინააღმდეგ, რომელიც 77 დეპუტატმა შეიტანა დონის ოლქში 1890 წლის დებულების ერობის შემოღების თაობაზე?! ან ვინ დაიწუნა 101 დეპუტატის განზრახვა, რომ ციმბირში შემოეღოთ იმავე 1890 წლის 12 ივნისის ერობა?! როდის ითქვა, რომ ამ დასახელებულ გუბერნიებს არ მისცემოდა ის ერობა, რასაც თხოულობდენ, მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლებოდა უკეთესის მოთხოვნა?! თუ რუსეთის ლიბერალობას საზრახისად მიაჩნდა 1890 წლის ერობა, ან თვით რად სტკბებოდა ამ რეფორმით, ან რად არ უშლიდა თავისიანებს ამ რეფორმის თანდათან შემოღებას? რად გაახსენდა ეს დავიწყებული ლიბერალობა რუსის საზოგადოებას მაშინ, როდესაც ჩვენში შესაძლებელი გახდა ამავე საერობო რეფორმების განხორციელება?! რუსის ლიბერალობა თავის ხალხისთვის რაც აქვს იმას იმეტებს ხოლო ჩვენი ხალხისთვის კიდევ იმას, რაც არ აქვს და თავისთვისაც ვერ უშოვნია! თუ რუსეთის ლიბერალი საზოგადოების ერთი ნაწილი რაც აქვს იმას არ იძლევა, რადგანაც მეტისა და უკეთესის მოთხოვნა შეიძლება, მეორე ნაწილი და უფრო რადიკალი ნაწილი à la ნაცვლიდინ, გაზეთ „დენის" ბანაკის, კამპანიას სწევს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის წინააღმდეგ და შეძლების ფარგლში საქმეს გვიხდენს: „რა თვალით შეხედავს რუსის ხალხი სინოდს, შორეულ საქართველოში, რომ თავისუფალი ეკლესიური ცხოვრება დაიწყოს, მაშინ როდესაც შიდა რუსეთში ამაოდ მოელიან ამგვარ რეფორმასაო". ამგვარათ, რუსის ლიბერალებიდან ერთნი წინ გვერეკებიან, ხოლო მეორენი ადგილზედ გვაბამენ, ორთავენი ერთად კი ხუთავენ და ჰპორკავენ ჩვენი ქვეყნის შემოქმედებას. აი რისთვის არის მოგონილი რუსის საზოგადოების ლიბერალობა.

კავკასიის ერობის საკითხმა რუსის პოლიტიკურ მოღვაწეებს არაჩვეულებრივი ზნეც შემოაღებინა, საკითხის შესასწავლად თავისი კაცი გამოაგზავნინა კავკასიაში. ბ-ნი რჟევსკი სწორედ ამ მონდობილობით არის ჩამოსული. მან მოიარა კავკასიის სხვა და სხვა კუთხე, იყო დასავლეთ საქართველოშიაც.

დღეს, 10 ენკენისთვეს, იგი ამ საკითხის შესახებ თავის შთაბეჭდილებასა და აზრს გაუზიარებს თბილისის საზოგადოებას კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში.

უეჭველია, ბ-ნი რჟევსკი ამ საკითხის მომხსენებლად გამოვა კომისიასა და სათათბიროში. მის სიტყვასა და აზრს განსაკუთრებული წონა და გავლენა ექნება. ჩვენთვის ეს გარემოება მეტად საყურადღებოა. და რომ ბ-ნ რჟევსკის ლიბერალი შეცდომა არ მოუვიდეს, საჭიროდ ვსთვლით ვაუწყოთ, რომ ჩვენ, ჩვენი თავის მტერი არა ვართ, ვიცით რა დროს რა მოგვიხდება და რასაც მოვითხოვთ. თუ მას სიკეთე სურს კავკასიისთვის, უნდა იზრუნოს, რომ ამ ქვეყანას რაც შეიძლება მალე მიეცეს ის ერობა, რომელსაც თხოულობს. დღევანდელს პირობებში ერობის შემოღება საშური საქმეა; ამიტომაც არ გვცალია, რაც არა გვაქვთ იმ კარგის სათხოვნელად, მოგვეცით ის ცუდი, რომელიც მოგვეპოვებათ. სულ არაობას, ცუდი თვითმართველობა გვირჩევნია.

ძველი ქართველი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ხუთშაბათის 200 ნომერში ჩვენ ვსწერდით შემდეგს: აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე გერმანელებს ვლადიმერ-ვოლინის მიმართულებით უშედეგო იერიში მიუტანიათ. ვლადიმირვოლინის და კოველის მიდამოები იმდენად დიდმნიშვნელოვანი ადგილებია, რომ სულ მცირე ახმაურებაც კი საერთო ყურადღებას იპყრობს ყოველთვის. არის ეს იერიში დასაწყისი დიდ ბრძოლისა თუ არა, ეს, რასაკვირველია, ძნელი გამოსაცნობია. შეიძლება გერმანეთის სამხედრო შტაბმა თუ კი რუმინეთში შესევას განაგრძობს, სწორედ კოველის და ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით ფართო დემონსტრაციები აწარმოოს. მოპირდაპირე შეეცდება რუსეთის მხედრობის ყურადღება მიიპყროს და ამ გზით საქმე გაიადვილოს რუმინეთში."

თვით შეტაკება ამ ადგილას დეპეშის გადმოცემით იმდენად მცირე იყო, რომ არვის ყურადღება არ მიიქცია. ახლა ოფიციალი ცნობა სავსებით ადასტურებს ჩვენს მოფიქრებას. აი რას ამბობს სამხედრო მთავარ შტაბის ოფიციალი დეპეშა: „მდ. სტოხოდზე კოველ-როვნოს რკინის გზის სამხრეთით მოპირდაპირე რამდენჯერმე წამოვიდა იერიშით, მაგრამ ჩვენებმა შეაჩერეს. კორიტნიცის და სვინიუხის მიდამოებში ბრძოლა გაჩაღდა", ბრძოლის დროს რუსებს ტყვეებიც წამოუყვანიათ.

დაბა სვინიუხა ვლადიმირ-ვოლინიდან 35 ვერსზე მდებარეობს. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც კალედინის არმიამ გაარღვია ბრძოლის ხაზი, გადალახა მდ. სტირი, მიადგა სვინიუხა-კისელინის გამაგრებულ ადგილებს და იქ გაჩერდა მას შემდეგ გერმანელები ხან ჩრდილოეთით სტოვიხვა-ტულევიჩის ხაზით მდ. სტოხოდზე და ხან სამხრეთით გალიჩანთა მდ. ლიპაზე სცდილობდნენ წვერებით შესევოდნენ კალედინს და იძულებულ გაეხადნათ უკან დაეხივნა. მოპირდაპირის განზრახვამ ვერ გასჭრა და კალედინს ფეხი ვერ მოაცვლევინეს გამაგრებულ ადგილებიდან. პირიქით, გენ. სახაროვის შესევამ ბროდის მიმართულებით განდევნა ავსტრიელები და ამ რიგად სავსებით უზრუნველჰყო კალედინის არმია შემოვლისაგან. მას შემდეგ ამ მიდამოებში ბრძოლის ასპარეზი სრულებით გაიყინა. ახლა ბრძოლა ისევე გაჩაღებულა. არც ეხლაა გამორკვეული, თუ რა ხასიათს მიიღებს აქ დაწყებული გერმანელების იერიშები ძნელი წარმოსადგენია გენერალურ ოპერაციების წარმოება მოპირდაპირეს მხრივ სწორედ აქ მაშინ, როდესაც რუმინეთის ასპარეზზე შეტევის გზას ადგა. უფრო ფართო დემონსტრაციის დასაწყისთანა გვაქვს საქმე. კოველი და ვლადიმერის მიმართულებას რუსეთის მხედრობისათვის იმდენად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ ყოველთვის მზად იქნება საკმაო ჯარებიც დააბანდოს და შეეცდება დასაწყისშივე მოსპოს ყოველივე განზრახვა მოპირდაპირისა.

ამასთანავე ნუ დაგვავიწყდება ის, რომ ძალიან ხშირად ფართე დემონსტრაცია სრულიად მოულოდნელად გენერალურ და გადამწყვეტ ბრძოლათ გადიძცევა ხოლმე. უეჭველია გერმანელები არაფერს დაზოგავენ და რა წამს მომენტს იხელთავენ, მაშინვე შეეცდებიან გააფართოვონ თავიანთი მოქმედება.

გეოგრაფიულად ბრძოლის ხაზი ვლადიმერ-ვოლინიდან დაწყობილი ახლა სამხრეთით ბალჩიკამდის მიდის. ამ მოხაზულობაში შედის გალიციის და მთელი რუმინეთის ბრძოლის ასპარეზი, მაშასადამე, სტრატეგიული ოპერაციის განვითარებას, სადაც უნდა დაიწყოს იგი, აუცილებლივ მთელ ამ ბრძოლის ხაზზე ყოველ ადგილთან ექნება კავშირი. ტურტუკაის აღებას და ვლადიმირ-ვოლინთან ბრძოლას შეიძლება ერთი მიზანი ჰქონდეს. ასევე ახლად გაჩაღებული ბრძოლა ევანიუსასთან რუმინეთში დაწყებულ ოპერაციის შედეგი იყოს.

შეიძლება ისიც მოხდეს, რომ გერმანელებმა აღმოსავლეთ ასპარეზზე გადაიტანონ მთავარი მოქმედება და ამით რუსეთის მხედრობის ყურადღება აქეთკენ მიიპყრონ. მაშინ რუმინეთი განცალკევებული დარჩება და იძულებული იქნება ავსტრიელებს და ბულგარელებს თავის ძალებით გაუმკლავდეს.

რუმინელებს ჩრდილოეთ დასავლეთით უკან დაუხევიათ და ქ. პეტროსანის სამხრეთით გაჩერებულან. სამგრეთით კვლავინდებურად სასტიკი ბრძოლაა ისევ გაჩაღებული.

ბულგარელებს ამავე დროს სოლუნის ბრძოლის ხაზზე შეტევა დაუწყვიათ და იტალიელები გაუდევნიათ ბორრო და მატრიკასთან.

X.

# ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი.** 8 ენკენისთვე. დასავლეთისა და კავკასიის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

9 ენკენისთვე.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მდ. სტოხოდზე, კოველ-როვნოს რკინის გზის მიდამოებში, მოპირდაპირემ ალაგ-ალაგ შემოგვიტია, ყველგან მოვიგერიეთ. კორიტნიცისა და სვინიუხის მიდამოებში ბრძოლაა. აქ ტყვედ ვიგდეთ 6 აფიცერი და 687 გერმანელი ჯარისკაცი. ჩვენმა მფრინავებმა ლოკაჩი-როგოვიჩი-მარკოვიჩის მიდამოებში მტრის ბანაკს მარჯვეთ დაუშინეს ყუმბარები. მტრის ერთი საფრენი ბრძოლის შემდეგ ტრიალით ძირს დაეშო. კარპატებში, პანტერის აღმოსავლეთ მიდამოში, მტრის ერთი ადგილი ავიღეთ. ტყვედ წამოვიყვანეთ 1 აფიცერი, 1 კადეტი და 437 ჯარისკაცი. დავლად დაგვრჩა 6 ტყვიისმფრქვეველი, ბევრი თოფები და პატრონები.

**კავკასიის ასპარეზი.** ქამშანუდდალის ქედზე, მუშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქურთები დავიფრინეთ. ბრძოლის პირზე ნისლია და თოვლი. ადგილ-ადგილ ქარ-ბუქია.

7 ენკენისთვე.

(საღ. დეპ.)

**რომი.** ოფიციალი ცნობა. მოპირდაპირე პოზინოს ველში მედგრად უშენდა ზარბაზნებს მონტე სელუჯოს, საღამოთი უშენდნენ მონტენეროს ტოლმინოს დასავლეთით სანდანილსა და ვალცასოს შუა. იტალიელებიც უპასუხებდნენ და ფელეს ზემო ნაწილში მარჯვედ უშენდნენ ტობახის სადგურს, სადაც მტრის რაზმი გაჰფანტეს. კარსოზე მოპირდაპირემ შეუჩერებლივ მოიტანა მედგარი იერიშები, რომელსაც წინ უძღოდა ძლიერი სროლა ზარბაზნებისა, მაგრამ დიდის ზარალით მოვიგერიეთ. იმავე დროს მტრის მფრინავებმა აზიაგოს მიდამოებში და კორდევოლეს ველში ყუმბარები ჩამოჰყარეს. იტალიელების მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მოტარელეს, ტრენტოს მახლობლად და მოპირდაპირის ჰიდროპლანი იძულებული ჰყვეს ძირს დაშვებულიყო. ჩვენმა მფრინავებმა აგრედვე ყუმბარები დაუშინეს დოტელიანოსა და შკოპოს სადგურებს კარსოზე. დააზიანეს სადგური, მატარებელი და საყწობები. ჩვენი მფრინავები უვნებლად დაბრუნდნენ.

**ლონდონი.** საფრანგეთში მყოფ ინგლისის მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა. უკანასკნელ დღეებში განუწყვეტლივ სწვიმს. საერთო მდგომარეობა უცვლელია, რიშებურგისა და ლაკუს არე-მარეში სამს ადგილას შევიჭერით მოპირდაპირის თხრილებში, რამდენიმე კაცი დავატყვევეთ, წამოვიღეთ ტყვიისმფრქვეველი. ჩვენ კიდევ 5 საფრენი დაგვაკლდა.

**ინგლისის ოფიც. ცნობა სოლუნის ასპარეზისა.** ჩვენმა მფრინავებმა მოპირდაპირის ბანაკს პროსენიკში ყუმბარები დაუშინეს. დოირანის ასპარეზზე მოქმედება აღარ განვითარებულა.

**კორფუ.** სერბიელთა მთავარ შტაბის ოფიც. ცნობა. თუმცა ბულგარელები თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ კაიმაყალის მთავარ ქედს მაინც მივუახლოვდით. აქ მტრის პირველი ხაზის თხრილები ავიღეთ. ეხლა გააფთრებული ბრძოლაა დანარჩენ თხრილების ასაღებად. ამ გმირულ იერიშების დროს მოჰკლეს კაპიტანი მილომად აშიარილოვიჩი, რომელმაც თავი ისახელა კუჩევთან.

8 ენკენისთვე.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. უამინდობა სამხედრო მოქმედებას აფერხებს. მხოლოდ სომას ორივე ნაპირას სწარმოებდა ძლიერი სროლა ზარბაზნებისა, აგრეთვე მაასის მარჯვენა ნაპირას და ფლერი-ვო-შაპიტრის ნაწილში.

**ჰავრი.** ბელგიელთა ცნობა. ძლიერი სროლა იყო ზარბაზნებისა დიკსმიუდეს სამხრეთით.

**ლონდონი.** ინგლისის ოფიციალი ცნობა. საერთო მდგომარეობა უცვლელია. მარტენპიუშის დასავლეთით მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ჩვენს თხრილებზე, მაგრამ ადვილად მოვიგერიეთ. რონსარის აღმოსავლეთით მტრის საფრენი ჩამოვაგდეთ. „60" სიმაღლის მახლობლად მოპირდაპირის სასროლ მასალის საწყობი გავანადგურეთ.

**პარიზი.** ოფიც. დღის ცნობა. სომას ჩრდილოეთით გერმანელებმა იერიში მიიტანეს „76" სიმაღლეზე კლერის რკინის გზიდან სომამდე. ტყვიისმფრქვეველებით მოვიგერიეთ. სომას სამხრეთით მოპირდაპირის რაზმები ჩვენს სანგრებში გამაგრდნენ, მაგრამ ისევ განვდევნეთ. ბუშავენთან ზარბაზნებით ბრძოლაა.

მახლობელ აღმოსავლეთის ასპარეზი: სტრუმიდან ვარდარის აღმოსავლეთ მიდამოებამდე ჩვეულებრივი ბრძოლა იყო ზარბაზნებისა და მზვერავი რაზმებისა. მდ. ჩერნის აღმოსავლეთით სერბიელებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ბულგარელებს ყარაჩალჩის უღელტეხილზე წაართვეს სიმაღლე „2525". ბულგარელები დიდათ დაზარალდნენ. სერბიელებმა 50 კაცი ტყვედ წამოიყვანეს. ფლორინას აღმოსავლეთით, მდ. ბაროდის მიდამოებში, გორესნიკის მახლობლად, ბულგარელების ცხენოსანთა იერიში მოიგერიეს. მარცხენა ფრთაზე პისადურის ჩრდილოეთით, წმ. მარკის მონასტერთან, ბულგარელები კიდევ წინააღმდეგობას გვიწევენ. ფლორინში ფრანგებმა რა დენიმე სახლში ჩასაფრებული ბულგარელები განდევნეს და 100 ტყვედ წაიყვანეს. ქალაქ მონასტირს მფრინავებმა ბევრი ყუმბარა დაუყარეს.

**ლონდონი.** ლოიდის ცნობით, დაუღუპიათ ინგლისელთა გემები: „დევი" და „ლორდ გრედგარ"-ი.

**ქრისტიანია.** აქ ჩამოვიდნენ ნორვეგიისა, შვეციისა და დანიის მინისტრები. მათი თათბირი დაიწყო 6 ენკენისთვეს საღამოთი.

**ბაზელი.** ოსმალეთის პარლამენტში, წარსულ მარიამობისთვეს, სხვათა შორის შეეხნენ კომპენსაციის საკითხს. სასურველად მიიჩნიეს, რომ ოსმალეთმა ავსტრიისა და ბულგარეთის დახმარებისათვის კომპენსაციად მიიღოს კავალი, ქსანტი და სოლუნი.

**კოპ ნჰაგენი.** „ნორდ-დეიტშე-ალგემეინე ცაიტუნგ"-ი იტყობინება: სკანდინავიის სახელმწიფოს დესპანებმა ბერლინში ერთნაირი განცხადებანი გაგზავნეს, რომ ამ სახელმწიფოთა მინისტრების ყრილობა ქრისტიანიაში მოხდება. ყრილობის მიზანია შეიმუშაონ გეგმა უპარტიო ნეიტრალობის განგრძობისა.

**ლონდონი.** სოლუნიდან ოფიც. იტყობინებიან: 7 ენკენისთვეს სტრუმის მიდამოებში, დღამის შუაგულში მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ვაგონებს და სარკინიგზო მასალას. დოირანის ასპარეზზე სამხედრო მოქმედება ჯერ არ განვითარებულა.

**კორფუ.** სერბიელთა ოფიც. ცნობა. ცხარე ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა აიღეს 2523 ადლის სიმაღლე კონცხი კაიმალჩალში. ეს კონცხი ყველაზე მაღალია ამ უღელტეხილზე. ბულგარელებს ნაბრძანები ჰქონდათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაეცვათ ეს ადგილი. ბულგარელების ყველა იერიშები მოიგერიეს. ამ ადგილის დაპყრობით სერბიელებმა თავის სამშობლო მიწა-წყალზე შესდგეს ფეხი. ეს სახელოვანი ნაბიჯი დასინის დივიზიას ჰხვდა წილად.

**ჰავრი.** ბელგიელთა ოფიც. ცნობა. ნიუპორტისა და მუსინგენის მიდამოებში ზარბაზნების სროლაა.

**ბუქარესტი.** რუმინეთის ოფიციალი ცნობა. ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე პატარ-პატარა შეტაკებაა. სტრიუს ველში ჩვენი უკან დახეული ჯარი პეტროსანის სამხრეთით გაჩერდნენ და მაგრდებიან. რუსრუმინელთა გაერთიანებულმა ჯარმა, ცხარე ბრძოლის შემდეგ, მთელს ბრძოლის ხაზზე მოიგერია მტერი და სამაგიერო იერიშებიც მიიტანა. ჩვენი მფრინავებიც ესხმოდნენ მტრის ბანაკს. მოპირდაპირის მფრინავებმა ქალაქ კონსტანცს ყუმბარები დაუშინეს. აგრედვე დაუშინეს ყუმბარები ქალაქ პიატრას ნეამცუს პროვინციაში.

9 სექტემბერი.

**ლონდონი.** დეთფორთშაირში 7 ენკენისთვეს განთიადისას დაიწვა გაზის ქარხანა. ზარალი რამდენიმე ათას გირვანქა სტერლინგს უდრის.

**ლონდონი.** ამას წინად აფეთქებულ სამხარ მასალის დამმზადებელ ქარხანაში მოკვდა 5, ჭრილობისაგან გარდაიცვალა 2, დაჭრილია 72. ამათგან 20—25 მორჩენის გზაზეა.

**პარიზი.** საღამოს ოფიც. ცნობა. სომას ჩრდილოეთით გერმანელებმა კიდევ სცადეს ჩვენ მიერ დაჭერილ ადგილიდან გამოდევნა. დილის ცხრა საათზე დაწყებული ბრძოლა დაღამებამდე გაგრძელდა. ბრძოლა 5 ვერსის მანძილზე სწარმოებდა, ლეპრიეს ფერმიდან ბუალაბეს ფერმის სამხრეთამდე. მოპირდაპირე აქ რამდენჯერმე მჭიდროდ შეჯგუფებული გვეჯახა, რასაც ზარბაზნების სროლა წინ უძღოდა. ეს ადგილები შევინარჩუნეთ. უფრო მედგარი ბრძოლა ლეპრიეს ფერმისა და მუშავენთან იყო. ლეპრიესთან ოთხჯერ ზედი-ზედ მოსული მტრის ტალღა ძირს დავამხეთ. მტერი მთებს შეეხიზნა და ბრძოლის ველი დახოცილებით მოფენილი დასტოვა. მუშევენთან გერმანელებმა ცხარე ბრძოლით აიღეს ამ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილი, საიდანაც 1 საათის შემდეგ დიდის ზარალით განვდევნეთ.

**რომი.** იტალიელთა მთავარ ბანაკის ოფიც. ცნობა. სოლუნის მიდამოებში ბელიშის მთის სამხრეთ კალთებზე, ბულგარელებმა, ზარბაზნის მედგარი სროლის შემდეგ, თავგანწირული იერიშები მიიტანეს პორისა და მატრიკის ბრძოლის ხაზზე. მათი შემოტევა მოვიგერიეთ და სრულის წესით უკან დავიხიეთ დოირანისა და დემარ-გისარის რკინის გზისაკენ. ჩვენს დახეულს ჯარს ზურგს ჯარი იფარავდა თავგანწირულის ბრძოლით.

**ლონდონი.** საფრანგეთში მომქმედ ინგლისის მთავარბანაკის ოფიც. ცნობა. ღამე მტერმა შემოგვიტია მდ. ანგრის სამხრეთით. მოვიგერიეთ. ავაფეთქეთ მტრის ტყვია წამლის საწყობი. არასის სამხრეთით 80 ადლის სიგრძეზე მტრის თხრილები ავიღეთ. მოპირდაპირემ სუშეს მახლობლად ნაღმი აგვიფეთქა. ზარალი არ მოგვსვლია. ორმოს ნაპირი ჩვენ დავიჭირეთ.

**ლონდონი.** ათინიდან იტყობინებიან: მინისტრთა საბჭომ საბერძნეთის მოკავშირეთა სახელმწიფოებში მყოფ დესპანებს მიწერილობა დაუგზავნა, ახალი სამინისტრო პირწმინდათ საქმიანი სამინისტროა და ყოველთვის ანგარიშს გაუწევს წინამოადგილეთა მიერ მიღებულს მოთხოვნილებათ.

**ლონდონი.** რეიტერის საავენტო იტყობინება: საბერძნეთმა გადაჭრით მოსთხოვა გერმანეთს კავალის მეციხოვნე ჯარი დაუყოვნებლივ გაანთავისუფლეო. თან პირობას უდებს: ეს ჯარი გერმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ არც ერთ სახელმწიფოს ჯართან არ იმოქმედებსო.

**თეირანი.** კერძო ცნობებით, რომელიც ჯერ ოფიციალად დადასტურებული არ არის, ოსმალები ქამადანის დაცლას აპირებენ.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### საგანგებო თათბირი

ამსტერდამიდან იტყობინებიან: გერმანეთის მთავარ ბანაკში ფრიად მნიშვნელოვანი სამხედრო თათბირია ვილჰელმის თავმჯდომარეობით. თათბირში მონაწილეობენ: ბულგარეთის მეფე ფერდინანდი, ენვერ-ფაშა, ავსტრია-ჰუნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი კარლ ფრანც იოსები და გერმანეთის კანცლერი ბეტმან-ჰოლვეგი. თათბირი აქვთ ბრძოლის ველის ყველა ასპარეზის თაობაზე. ბეტმან-ჰოლვეგი მოახსენებს დიპლომატიურს ვითარებას. თათბირის დასკვნას კანცლერი გაუზიარებს რაიხსტაგს 24 სექტემბერს. ამბობენ ამ საგანგებო თათბირში მონაწილეობას ღებულობს ჰინდენბურგი და მისი მარჯვენა ხელი გენერალი ლიუდენდორფი.

ამავე დროს კაიზერის სასახლეში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური თათბირია გამართული, ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ხალილ-ბეის და გერმანელ სახელმწიფო მოღვაწეთა თანადასწრებით. კაიზერი სცდილობს ოსმალეთსა და ბულგარეთს შორის ძველი შუღლი მოსპოს და საბოლოოდ შეარიგოს ეს ორი სახელმწიფო.

### პოლკ. რეპინგტონის აზრი

რეპინგტონის აზრით ჰინდენბურგი უმთავრესი ძალებით აღმოსავლეთის ასპარეზს შემოუტევს, რადგანაც რუმინეთის გამოსვლით აქ გერმანელების საქმე გართულდა. გერმანელებს ამ ასპარეზზე საქმის გამოსაკეთებლად 30 ახალი დივიზია მაინც დასჭირდებათ. საქმე ისაა, მოკავშირეები შეძლებენ თუ ვერა, რომ გერმანელებს სხვა ასპარეზებიდან ჯარის გადმოყვანის საშუალება მოუსპონ. მისის აზრით, გერმანელები უპირველესად რუმინეთს მიაწვებიან, როგორც ყველაზე უფრო სუსტ მოპირდაპირეს. მოკავშირეები უნდა შეეცადნენ ყველა ასპარეზებზე მედგარი იერიშებით მივიდნენ, რომ გერმანელებს ჯარის გადაყვან-გადმოყვანის საქმე შეუფერხონ და გასაქანი არ მისცენ აღმოსავლეთის ასპარეზზე ჯარის მიშველებისა.

რეპინგტონის აზრით სასურველია ინგლისის მრეწველობით რუსეთმა ფართოთ ისარგებლოს სამხედრო საჭიროების შესავსებად. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ ინგლისი ჯარის ზრდას შეაჩერებს. რეპინტონის აზრით ეს უმთავრესი საკითხია დღევანდელს მდგომარეობაში.

### საბერძნეთის ვითარება.

პარიზის გაზეთებში მოთავსებულია საუბარი საბერძნეთის ახალ მინისტრ-პრეზიდენტ დემეტრაკოპულოსთან. იგი ვენიზელოსის ლიბერალთა პარტიიდან გამოცალკევებულ ჯგუფის ბელადია. ეს ჯგუფი კი მომხრეა, რომ საბერძნეთი საერთაშორისო ომში ჩაერიოს. მას განუცხადებია: მას მერე, რაც ბალკანეთში იტალია ჩაება ომში, რაც გერმანეთ-ბულგარეთის კავშირი მოხდა და რუმინიაც გამოვიდა, საბერძნეთს არ შეუძლიან შორიდან მაცქერლად დარჩესო. საფრანგეთის გაზეთები და პოლიტიკური წრეები ასეთ განცხადებას უნდობლად უყურებენ.

„ჟურნალ დე დება" სწერს: ზაიმისის გადადგომა გერმანეთ-ბულგარეთს გაახარებს, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ საბერძნეთში ანარქია იმდენად გაიზრდება, რომ მოკავშირეთა მოქმედებას არა თუ შეაფერხებს, შეუძლებელსაც გახდის. საბერძნეთის ანარქია გერმანეთისათვის ხელსაყრელია. არ ვიცით, შევძლებთ თუ ვერა საბერძნეთში ანარქიის მოსპობას, მაგრამ იმდენს კი მოვახერხებთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ არ იყოს იგი მიმართული. ჩვენ მივეკედლებით ბერძნების იმ ნაწილს, რომელიც თანაგვიგრძნობს და რომელიც თავისი სამშობლოს გადარჩენას სცდილობს. იმათაც ხელს შევუწყობთ და ჩვენს მდგომარეობასაც შევინარჩუნებთ მახლობელ აღმოსავლეთშიაო.

„ტაიმს"-ი სწერს: მხოლოდ ერთი საკითხი აფიქრებს მოკავშირეებს. ეს ის გარემოებაა, რომ ეხლა მოკავშირეთა ჯარი თავისს უმთავრეს ბაზას თანდათან ჰშორდებაო. ამისათვის საჭიროა ენერგიული ზომები მივიღოთ საბერძნეთის წინააღმდეგ, რათა ბალკანეთში მოკავშირეთა სამხედრო ინტერესები არ დაირღვესო.

„ნოვოე ვრემია" მეთაურ წერილში ამბობს: განა დრო არ არის და ვალდებულნი არა ვართ საბერძნეთს ხელი შევუშალოთ-ბულგარეთის მსგავსად არ მოგვექცესო? მდგომარეობა დღითი დღე რთულდება იმითაც, რომ მოკავშირეთა უმთავრესი ძალები ბალკანეთში თანდათან სცილდება თავის უმთავრეს დასაყრდნობ ადგილსაო.

**საფრანგეთის პარლამენტში** საბერძნეთის საკითხს შეეხნენ და განაცხადეს: მოკავშირენი არ უნდა ჩაერივნენ საბერძნეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ საგარეო საქმეებში კი უნდა ჩაერიონ და განსაკუთრებით უნდა აწონ-დასწონონ ის, რაც განსაცდელს განუზრახავს მოკავშირეთა ჯარს.

**დეპუტატმა მარსელ ბერჟონმა** საზღვაო კომისიაში განაცხადა: საჭიროა სავაჭრო გემები წყალქვეშა ნავების თარეშს ავაცდინოთო. საამისოდ აირჩიეს 9 კაცი აგან შემდგარი კომისია, რომელიც შესაფერ ზომებს მიიღებს.

### კავალის დათმობა.

სალონიკიდან იტყობინებიან დაწვრილებით ცნობებს კავალის დათმობის თაობაზე. 28 მარიამობისთვეს ბულგარელების მთავარმა შტაბმა კავალის ციხის უფროსს პოლკ. ჰაჯოპულოსს მოსთხოვა მეციხოვნე ჯარის გაყვანა კავალიდან 24 საათში. თუ ჯარს არ გაიყვანთ ტყვეებად ჩავთვლით და ერამაში გადავიყვანთო.

ამავე დროს კავალში მყოფმა ოსმალებმა დალეწეს სატუსაღოს კარებები და მაღაზიებსაც ძარცვა უწყეს. მეორე დღეს კავალის ციხის უფროსთან გამოცხადდა გერმანელი აფიცერი და განუცხადა: მეციხოვნე ჯარი შეიძლება არ გაიყვანოთ, თუმცა თუ საბერძნეთთან ომი მოგვიხდა, სამხედრო ტყვეებად ჩავთვლითო.

ღამის არეულობის დროს პოლკ. ქრისტიდული 6 დივიზიით, მოხალისეებით და არტილერიის ერთის ნაწილით თაზოსის კუნძულზე გადავიდა. პოლკოვ. ჰაჯოპულოსი კი თავისი შტაბით და 4000 მეომრით კავალშივე დარჩა. ამ დროს ბულგარელები კავალის ყარა ოსმანისა და ქუჩუკ-ორმანის კარიბჭეებთან იდგნენ ბერძნების ყაზარმებში.

ბერლინიდან ოფიციალი ცნობაა: კავალის დაჭერის დროს მთავ რსარდლისა და ბერძენთა გენერლის შორის შეთანხმება მოხდა: ბერძნების მეციხოვნე ჯარი გაეყვანათ ქალაქიდან სრულის შეიარაღებით და როგორც ნეიტრალი ჯარი გერმანეთის სხვა და სხვა ბანაკებში დაებინავებინათ, სადაც გერმანელები მასპინძლობას გაუწევდნენ.

# უკანასკნელი დეპეშები

გერმანელებს ... საზღვარზე ნადარაჯოები და მავთულის ხლართები აუხსნიათ და თავისუფლად გასვლის ნებას აძლევენ. ასეთ მოვლენის მნიშვნელობას ვერაფრით ვერა ჰხსნიან.

—

როგორც ამერიკიდან იტყობინებიან ბულგარეთის სამხრეთ საზღვარზე თავი მოუყრია 350 ათას ბულგარეთის და 60 ათას გერმანეთის ჯარს.

—

გერმანეთს ბრძოლის ორი წლის განმავლობაში მოუკლეს 885,500, მსუბუქად დაუჭრეს 1,602,900, მძიმედ დაუჭრეს 518,400, შრომის უნარ დაკარგულები 634,900.

—

ოსმალებმა ხამი ხანი დახვრიტეს, რადგან მათ უარი განაცხადეს არ დაგეხმარებითო. სამხრეთ სპარსეთში არაბების მდგომარეობა რთულდება. ფარსისტანის გუბერნატორი დაატყვევეს.

—

ამბობენ იაპონია ჩინეთისადმი წარდგენილს მოთხოვნილებას უკან არ წაიღებსო. იაპონიის მთავრობის აზრით, ჩინეთში მშვიდობიანობა მაშინ დამყარდება, როცა იაპონიის მეფეს ზედამხედველობა ჩინეთის ჯარზე დაკანონდება.

იაპონიის მოთხოვნილება ჩინეთისადმი თურმე ამერიკასთან ხელშეკრულებას არ ეწინააღმდეგება.

—

ათინაში არეულობაა. მუშები იფიცებიან.

—

კონსტანტინოპოლში გერმანელი ოფიცრები ოთხი კორპუსისგან შემდგარს ახალ ჯარს აწყობენ. ამ ჯარს ევროპაში გაისტუმრებენ. ერთს კორპუსს ენვერ-ფაშა უმთავარსარდლებს.

—

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ჰინდენბურგს ჟურნალისტებთან საუბრის დროს უთქვამს: თუმცა გერმანელებს საქმე გაურთულდათ, მაგრამ გამარჯვება მაინც მათ დარჩებათო. გერმანელები მაგრად არიან ჩრდილოეთით, სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთითაო.

—

პოლონეთის საკითხის შესახებ მაღალ წრეებში კვლავ რყევაა. ამ დღეებში გრაფმა ველეპოლსკიმ სთხოვა შტიურმერს გამაცან პოლონეთის ავტონომიის საკითხი, რომელიც მთავრობას შეუმუშავებიაო. შტიურმერს სხვა და სხვა მიზეზების გამო უარი განუცხადებია და ერთხელ კიდევ დაუდასტურებია, რომ ეს პროექტი პოლონელების პროექტიდან მხოლოდ წვრილმანებით განსხვავდებაო. გრაფს ველეპოლსკის უთხოვნია: თქვენთან საუბრის სახით ამ ამბავს ერთ ერთ პოლონეთის გაზეთში დავსტამბავო. შტიურმერს ნება დაურთვია იმ შემთხვევაში, თუ დაწერილს წინასწარ უჩვენებდა.

დაწერილი უჩვენებია და შტიურმერს ამოუშლია: მთავრობის პროექტი პოლონელების პროექტიდან მხოლოდ წვრილმანებით განსხვავდებაო. ველეპოლსკის ასე რიგად წერილის გაშვება უხერხულად უცვნია.

# ახალი ამბავი

მხცოვანი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი გუშინ 12 საათზე ჩვენს რედაქციაში მობრძანდა და ერთს საათამდე ემუსაიფა რედაქციის კოლეგიის წევრებს სხვა და სხვა საპოლიტიკო საკითხებზე.

### სასახლეში.

→ **პრინცის მოხვლა,** გუშინ დილის 10 საათზე ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა მათი უმაღლესობა პრინცი ს. ვ. ლიხტენბურგსკი პირადად მდივნის ა. კ. ბოლქვიძის თანხლებით. სადგურზე მათ უმაღლესობას შეხვდენ მეფის ნაცვლის მეუღლე დიდი მთავარი ანასტასია ნიკოლოზის ასული, თბ. გუბერნატორი, პოლიცმეისტერი და სხვ.

### ქართული დაწესებულებანი.

→ **წერა-კითხვის საზოგადოების** კანცელარიამ მიიღო ქართველ მოღვაწეთა პანთეონის სასარგებლოდ სენაკში შეკრებილი 74 მან. დღემდის პანთეონის სასარგებლოდ შემოსულია სულ 2 953 მ ნ. 25 კაპ.

→ **საერობო ბიუროში.** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საერობო ბიუროს მდივნის თანამდებობაზე მიიწვიეს ნაფიც ვექილის თანაშემწე გ. თ. ქორდანია.

◆ **ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა** დეპუტატთა საკრებულოში 2 ღვინობისთვეს დანიშნულია თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. ამ კრებამ უნდა აირჩიოს თავისი 2 წარმომადგენელი, რომელნიც პეტროგრადს უნდა წავიდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

### მთავრობის დაწესებულებანი

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის** ცნობათა მიხედვით თბილისის გუბერნიაში ყურძნის მოსავალი საერთოდ შუათანაა. ღირსებით ყურძენი ძალიან კარგია, განსაკუთრებით გორისა და დუშეთის მაზრებში. ამ მაზრათა ზოგიერთ სოფლებში ხალხი უკვე შეუდგა ყურძნის დაკრეფას, რადგან წელს ადრე დამწიფდა ყურძენი. მიუხედავად რიგიანი მოსავლისა არა მარტო თბილისის გუბერნიაში, არამედ მთელს ამიერ-კავკასიაში, ყურძენი და ტკბილი ძვირად ფასობს: ფუთ ყურძენში აძლევენ 4—7 მანეთს, ხოლო ვედრო ტკბილში—3 მანეთნახევრიდან 4 მანეთამდის, მაგრამ ვენახის პატრონები არ აჩქარიან გაყიდვას იმ იმედით, რომ მეტ ფასს აიღებენო. ახალი მოსავლის ღირსების გამოსარკვევად კომიტეტის ლაბორატორიაში აგენტები და ინსტრუქტორები კომიტეტისა ვალდებული არიან სხვა და სხვა კუთხიდან ტკბილის ჰაზნიკი გამოგზავნონ.

### ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** გადასწყვიტა წარსულ გაზაფხულზე გაეშენებია საქალაქო მიწაზე ნავთლუღში ბოსტნები და ამ საქმის ხელმძღვანელობა მიანდო ქალაქის საბჭოს ხმოსანს ბ-ნ ს. ხუნდაძეს. ეს უკანასკნელი მუშაობას შეუდგა და 10 დესეტინამდე ადგილი დათესა. სარწყავი წყალი აღუთქვა ქალაქის გამგეობას კახეთის რკინის გზის გამგეობამ და ორჯელ მართლაც მისცა წყალი. მაგრამ შემდეგ რკინის გზის წყალსაქაჩი გაფუჭდა, რომელიც ბაქოში გაგზავნეს გასაკეთებლად და ჯერაც არ დაბრუნებულა. ამის გამო ბოსტანი მოურწყავი დარჩა და, როგორც ამბობენ, სულ ერთიან გახმარა.

◆ **ხოლერა.** 9 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ლაზარეთში იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 110 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი. გარდაიცვალა 3, გაეწერა 3.

◆ **გადამდები სნეულებანი.** 9 ამა თვეს, დილით, ქალაქის საავადმყოფოში ირიცხებოდნენ: ქუნთრუშიანი 77, ხუნაგიანი 15, ყვავილიანი 5, მუცელათი 13, სახადიანი 21 და საოფლიანი 168 კაცი.

◆ **კავკასიის ქალაქთა კავშირის** მთავარმა კომიტეტმა წარუდგინა გენერალ თამაშევს ხარჯთაღრიცხვა გადმოხვეწილთა საჭიროების დასაფარავად. ამ ანგარიშის მიხედვით შემოხიზნულებისთვის უნდა გადაიდვას 1.290.483 მან. 46 კაპ.

◆ **ხოლერა იგდირში.** ქალაქთა კავშირსატყობინებენ იგდირიდან, რომ გადმოხვეწილთა შორის ხოლერამ თავი იჩინაო. უკვე 15 შემთხვევა ყოფილა ხოლერით ავად გახდომისა და ეპიდემია კიდევ მატულობს.

◆ **ქალაქთა კავშირის** მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით ბაიბურთში 200-დე გადმოხვეწილი ქალი და ბავშვია, რომელთაც საზრდო არ მოეპოვებათ და დიდს გასაჭირს განიცდიან.

### კლუბებში.

◆ **წარმოდგენა.** 10 ენკენისთვეს, ხარფუხის კლუბში გაიმართება წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

### სხვა და სხვა ამბები.

◆ **ერობა ამიერ კავკასიაში.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ დღეს, 10 ენკენისთვეს, საღამოს 8 საათზე, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ბ-ნი ვ. ა. რჟევსკი საჯაროდ წაიკითხავს მოხსენებას ამიერ კავკასიის საერობო რეფორმების შესახებ. ბ-ნი რჟევსკი თავისს მოხსენებას დაუკავშირებს ამ საგნის შესახებ საკითხის მდგომარეობას სახელმწიფო სათათბიროში. კრებაზე კამათიც იქნება. როგორც გადმოგვცეს, კრებას დაესწრება სახელმწიფო სათათბიროს წევრი ბ-ნი კარლო ჩხეიძეც.

◆ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლება“ № 7, ენკენისთვისა.

◆ **პეტროგრადის** ფსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტთან არსებულ სწავლაში ჩამორჩენილთა და დეფექტიან ბავშვთა სკოლის ყოფილი გამგე ქნ. ნ. ა. ბუგაევსკაია-ერისთავისა თბილისში გადმოსახლდა და აარსებს ზემოხსენებულ ტიპის სკოლას.

◆ **კბილის ექიმთა საზოგადოების** წევრთ კრება ჰქონდათ 7 ენკენისთვეს. კრებამ აირჩია გამგეობა, რომელშიაც წევრებად შედიან: ბ-ნნი ვარ. ჰეჰენაძე, ფიდოტოვი, თოი, გენე და ყარაგიულიანი; სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩია: ბ-ნნი ბერძენიშვილი, ველერი და კატსელებაუმი. შემდეგ კრებამ დაადგინა: გახსნას საქონლის საწყობი, დაიქირაოს მოსამსახურენი და საწყობიდან საქონელი მიჰყიდოს არა წევრთაც.

◆ **შაქრის გაზიდვა.** კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსმა ნება დართო გაიტანონ სპარსეთში 1.066 ფუთი შაქარი ქალაქთა კავშირის დაწესებულებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ **ფოსტა ტელეგრაფის** უწყების უფროსს ბ-ნ პოხვისნევს მოელიან თბილისში 11 ამა თვეს. ბ-ნი პოხვისნევი ადგილობრივ გამოარკვევს, რა და რა ადგილებში უნდა გაიხსნას ამიერ კავკასიაში ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებანი.

◆ **მგოსანი ცახელი.** ამ დღეებში ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა დამსახურებული ნიჭიერი მგოსანი ცახელი (პარმენ თვალჭრელიძე). მგოსანი რამდენიმე დღეს დაჰყოფს თბილისში.

◆ **საავარაკო საზოგადოების** ცნობათა შემკრებ ბიუროს წევრთ კრება ჰქონდათ 7 ამ თვეს. კრებამ დაადგინა გამოსცეს სახელმძღვანელო შავი ზღვის ნაპირა-ადგილების გზებისა. ბ-ნმა ჩურსინმა კრებას მოხსენება წარუდგინა თავისი მოგზაურობის შესახებ დაღესტანსა და ჩეჩნეთში, ხოლო ბ-ნმა ფეხნერმა წაიკითხა მოხსენება თავისი მოგზაურობის შესახებ ცაიში (ზუგდიდის მაზრა), ნაქალაქევში (სენაკის მაზრა), კურსებში (ქუთაისის მაზრა) და ბახმაროზე (ოზურგეთის მაზრა). პირველს სამ ადგილას ბ-ნ ფეხნერს დაუთვალიერებია და გამოუკვლევია იქაური მადნეული წყლები, ხოლო ბახმაროზე—ჰავა. კრებამ აგრეთვე მოისმინა ბ-ნ სემიონოვის განცხადება, რომ ის თავს ანებებს „ლეჩებნი კავკაზის“ რედაქტორობას და მის ნაცვლად რედაქტორობა მიანდო ბ-ნ ჩურსინს.

◆ **პოეტი კ. ბალმონტი ჩვენს ქვეყანაში.** ღვინობისთვის შუა რიცხვებში თბილისს ესტუმრება პოეტი კ. დ. ბალმონტი, რომელიც თბილისის გარდა, ლექციებს წაიკითხავს ბაქოსა, ქუთაისსა და კავკასიის სხვა ქალაქებში. ლექციების თემები შემდეგია: „სიყვარული და სიკვდილი მსოფლიო პოეზიაში“, „ქალის სახე პოეზიასა და ცხოვრებაში“, „თეატრი სიყმაწვილისა და სილამაზისა“ და „რუსთაველი, როგორც მზიური პოეტი“; 1) რუსთაველი და დიდებული იტალიელი, 2) რუსთველის სიყვარული, 3) ტრისტანი და იზოლდა, 4) მთვრალი და მზიური სახე რუსთველისა. ერთი საღამო გაიმართება თვით ბალმონტის პოეზიის შესახებ. წაკითხული იქნება ბალმონტის თარგმანი რუსთველიდან. აგრეთვე საკუთარი ლექსები ბალმონტის ჯერ კიდევ დაუბეჭდავ წიგნიდან, რომელსაც სახელად აქვს: სონეტები მზისი, თაფლისა და მთვარისა“. ყველა ამ ლექციაზე წინასწარი ჩაწერა შეიძლება გრ. ნიკ. დიასამიძესთან და ა. ი. ყანჩელთან.

### ხონი.

დღემდის ფხვნილი შაქარი მაინც იშოვნებოდა, დღეს კი არც ფხვნილი იშოვნება, რაც მცხოვრებლებს დიდ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

— პირველ ენკენისთვიდან აქ გაიხსნა ქალთა გიმნაზია. ამ საქმეში დიდი შრომა მიუძღვის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს.

— კოოპერატივი „იმედი“ დიდ დახმარებას უწევს საზოგადოებას. დღეს კოოპერატივში ცხვება მეორე ხარისხის პური, ამის გამო მას აუარებელი მყიდველი აწყდება.

— აქ ძლიერ აცივდა და დროგამოშვებით წვიმს.

### დ. ახალ-სენაკი.

ამ დღეებში მეცადინეობა დაიწყება ახლად გახსნილ უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში.

— 4 ენკენისთვეს, დ. აბაშაში კატო მიქელაძის ქალმა ლექცია წაიკითხა ამ თემაზე: „სიმბოლისტები და რუსთაველი“. უნდა შევნიშნოთ პატივცემულ ლექტორ ქალს, რომ მის ლექციას ერთობ პოლემიკის ხასიათი აქვს და როგორც ასეთი იგი ჰკარგავს ლექციის სახეს. საჭიროა მან ეს ნაკლი თავიდან აიცილოს და უფრო დინჯი ხასიათი მისცეს რაიც მას თუ არ არგებს, არც რასმეს დააკლებს.

— რამოდენიმე დღის შაქრის კრიზისის შემდეგ ადგილობრივმა კოოპერატივმა მიიღო ფხვნილი შაქარი, რომელსაც ჰყიდის წევრებზე „საპორციო ფურცლით“, ერთი კვირისათვის იმდენ გირვანქას, რამდენი სულიც არის წევრის ოჯახში ერთის გამოკლებით. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა დღევანდელ პირობებში შაქრის პროპორციონალური განაწილებისათვის.

— დრამატიულმა საზ. შესწყვიტა წარმოდგენების მართვა, ვინაიდან სცენის მოყვარეთა შემადგენლობის უმეტესობა სასწავლო დროის მოახლოვებისა გამო წავიდ-წამოვიდენ სხვა და სხვა ქალაქებში.

### ოზურგეთი.

კვირას აკურთხეს ქალთა კერძო პროგიმნაზია. კურთხევას სადღესასწაულო ელფერი ჰქონდა და ბევრი ხალხიც დაესწრო. სიტყვები წარმოსთქვეს. ქალაქს მოურავმა თავ. დ. კ. ერისთავმა, მასწავლებელთა კავშირის სახელით მასწ. პარ. თოთიბაძემ და აპ. წულაძემ. ჯერ-ჯერობით გახსნილია პირველი კლასი და მოსამზადებელი განყოფილება. მოწაფეები ჯერ-ჯერობით 70.

— 5 ენკენისთვეს თვითმართველობამ გადაწყვიტა გახსნას ამბულატორია და ექიმათ მოიწვიოს ავთან. ინგოროყვა—საზღვარგარეთ სწავლა დამთავრებული.

### თელავი.

როგორც გვაცნობეს, ალაზნის გაღმა ეგრედწოდებულ „ღიჭიან ჭალაში“ 4 ენკენისთვეს, ცხენის ურემს დახვედრია სამი შეიარაღებული ყაჩაღი, რომელზედაც თელავის სადგურიდან საბუეში წასაღებად მომრიგებელ შუამავლის ანდრონიკაშვილის ბარგი დებულა. ყაჩაღებს წაურთმევიათ ეს ბარგი ურმიანად, დამსხდარან ზედ და წასულან. მდევარი გამოჰკიდებია. არ ვიცით, მიაგნეს თუ არა იმათ კვალს.

### დ. ზესტაფონი.

— ამ დღეებში გაიმართა მცირე რიცხოვანი კრება, რომელმაც გადასწყვიტა გახსნას ან საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, ან გიმნაზია, ამ საქმის პირველ ხანებში მოსაწესრიგებლად აირჩიეს ბ. ბ. ბასილაია და კალენჯერიძე.

— ამბობენ, შორაპნის მაზრის უფროსი ბ. ვასაძე აქედამ გადაჰყავსთო, მის თანაშემწე ბ. ჩაჩავა კი გადაიყვანეს, ხოლო მის მოადგილედ თ. აფაქიძეა დანიშნული.

— ხუთშაბათს, 8 ენკენისთვეს კოოპერატივის „ერთობის“ კრებაა დანიშნული. განსახილველია სხვა და სხვა საკითხები. საჭიროა ამ კრებაზე მეტი ნაწილი წევრებისა დაესწროს და ამხანაგობის საქმეები გამოასწორონ. საკვირველია, თუმცა 1 კაპიკზე მის ფურნეში ნაკლებ იყიდება პური, მაგრამ ჯერ კიდევ ყველა არ ყიდულობს, რის გამო გაუყიდველი პური რჩება.

## ქართული ენის შემოღება

კარგა ხანია, რაც თბილისში არსებობს „თბილისის საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის სახელობაზე დაარსებულია ქალთა სკოლები ვერაზე, კუკიაში, ჰავჰავაძის ქუჩაზე და ავლაბარში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლებში უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი მოწაფენი, სახალხო სკოლების დირექციას საჭიროდ არ მიაჩნდა ამ სკოლებში ქართულის სწავლება. ქ. შ. წ. გ. საზოგადოების გამგეობის მეცადინეობით 1912 წელს შემოღებულ იქმნა ქართული ენის, როგორც ცალკე საგნის, სწავლება ვერის სკოლაში, 1914 წელს-კი ამ ენის სწავლება შემოიღეს ჰავჰავაძის ქუჩაზე სოფიოს სახელობის, კუკიისა და ავლაბრის სკოლებშიაც. 1915 წელს ვერის სკოლაში სწავლობდა 100 ქართველი, სოფიოს სახელობისაში (ჰავჰავაძის ქუჩაზე) 60, კუკიისაში 55 და ავლაბრისაში 50 მოსწავლე. ვერის სკოლაში ასწავლის ქართულს ანნა შარაშიძე, დანარჩენებში ბარბარე გარსიაშვილი. ორივე მასწავლებელს დასრულებული აქვს დედათა ეპარქიალური სასწავლებელი და თავისს საგანს კარგად ასწავლიან. 1915 წელს წერა-კითხვის საზოგადოებამ დახარჯა ამ სკოლებზე 692 მან. 76 კაპ.

სამურზაყანოში, დაბა გალში, არსებობს მეორე ხარისხოვანი სამრევლო სამასწავლებლო სასწავლებელი. ამ სკოლაში სწავლობენ მხოლოდ მეგრელები, სვანები და ქრისტიანი აფხაზები. სკოლის დამთავრებულებს აწესებენ სამურზაყანოში და სამეგრელოში მასწავლებლებად და მედავითნებად. ზოგი მათგანი შემდეგ მღვდლადაც მიდის. ამ სასწავლებელში ქართული ენის ხსენებაც არ იყო. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მეცადინეობით, საზოგადოებისავე ხარჯით წარსულ 1915 წელს ამ სკოლაშიაც შემოღებულ იქმნა ქართულის სწავლება, როგორც კერძო საგნისა. მასწავლებლად დანიშნა საზოგადოებამ ბ-ნი პეტრე ჰარაია. იმავე წლის განმავლობაში საზოგადოებას დაეხარჯა აღნიშნულ სკოლაზე 198 მან. 90 კაპ.

## ვლადიმერ ნიკოლოზის ძე აბულაძის ხსოვნას

ტკბილი და მოსწრებული სიტყვა, გამჭრიახი ჭკუა, მოსიყვარულე გული და რაინდული ხასიათი არა იშვიათი მოვლენა იყო ძველს ქართველობაში. ხოლო დღესდღეობით ამ თვისებით დაჯილდოებული ადამიანი ძვირიდაა ჩვენს ცხოვრებაში.

ახლად განსვენებული ვ. ნ. აბულაძე სწორედ ასეთის თვისებებით იყო ბუნებით დაჯილდოებული და ამიტომაც მისი სიკვდილი ბევრს მის მეგობარსა და ნაცნობს დასწყვეტს გულს და გულწრფელ ცრემლს მოჰგვრის. მართალია, მისი ნიჭისა და გულის პატრონს მეტად შესამჩნევი კვალი უნდა დაემჩნია, როგორც პირად მის ცხოვრებაში, აგრეთვე საზოგადოშიაც, მხოლოდ ჩვენი დუხჭირი დროის მოწმენი ადვილად გაითვალისწინებენ, თუ რატომ ამრიგ უნაყოფოდ იკარგება და ჰქრება ჩვენში ასეთი ნიჭი.

ვ. აბულაძემ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი ოდესაში, იურიდიულ ფაკულტეტზე 1888 წ. და იქვე მოიპოვა სიყვარული და პატივისცემა ყოველ მის ნაცნობთა და შემხვედრთა შორის. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და მიღებულ იქმნა სამსახურში განჯის ოლქის სასამართლოში გამომძიებლად. მოკლე სამსახურის შემდეგ ის დანიშნეს საგანგებო საქმეთა გამომძიებლად იქვე, მხოლოდ სამშობლოს სიყვარულმა სძლია კარიერის სურვილს და აბულაძე გადავიდა ქუთაისში მომრიგებელ მოსამართლედ. აქ მან მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, როგორც უანგარომ და კეთილ-სინიდისიერმა მსაჯულმა და საზოგადო მოღვაწემ. არც ერთი თვალსაჩინო მოვლენა არ გამოეპარებოდა ჩვენს ვალოდიას, რომ გულით და სულით არ ეთანაგრძნო და მხარი არ დაეჭირა. არავისთვის არ იყო საეჭვო, რომ, თუ სადმე რამ კეთილი საქმე გაჩნდებოდა, ვალოდიაც პირველი მისი მომხრე და ქომაგი იქნებოდა. ასე მიმდინარეობდა მისი წყნარი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქალაქის მსაჯულის ასპარეზზე, ვიდრე შემპარავ მტრების იშტა გაძლიერდებოდა და ხრიკი დამზადდებოდა. ხოლო არც ამ დღეს გამოაჩნდა ხანგრძლივი ვადა და ვალოდიას თანამოსამსახურეებმა მოსდევს უკადრისი ხრიკი და მსაჯულის ადგილიდან გადააყენეს. მისი პირუთვნელობის, გამჭრიახობის, უანგარობისა და კეთილსინიდისიერობის გამო. ხოლო მისი ნიჭის პატრონი, რასაკვირველია, უმწეოდ ვერ გამოიჩენდა და ვალოდია საბუთებით სავსე პორთფელით გაემგზავრა სატახტო ქალაქში პირდაპირ სამინისტროში, სადაც სრულიად აღადგინა თვისი სიმართლე და უდანაშაულობა და მის უფროსთა სასირცხოდა და თავსლაფდასასხმელად დაბრუნებულ იქმნა თავის თანამდებობაზე. ეს იყო დიდი და ფრიად საყურადღებო გამარჯვება მართებულობისა უსამართლობის წინააღმდეგ და ამ მოვლენამ საყოველთაო სიხარული გამოიწვია მთელს საზოგადოებაში, მით უმეტეს იმიტომ, რომ ვალოდია იყო „კაციჭამიების“ მსხვერპლი.

ამხანად ვ. აბულაძის სამსახური და მოღვაწეობა უკვე წყნარად და მშვიდობიანად მიმდინარეობდა, მაგრამ პენსიის დამსახურების შემდეგ მან არჩია უფრო მყუდრო მოღვაწეობა და გადავიდა ჭიათურის ნოტარიუსად. ხანგრძლივმა შრომამ და უსამართლო დევნამ, რასაკვირველია, ტყუილად არ ჩაუარა და მისი ნერვები მძლავრად დაავადა. ვალოდიამ დაიწყო უქეიფობა, მას ტანში გაუჯდა ავადმყოფობა, რომელმაც ის კიდევაც იმსხვერპლა ჯერ კიდევ არა მოხუცი.

ხოლო არც სიკვდილს შეხვდა ვალოდია ჯაბანად, მამაცურად განუტევა თვისი ლამაზი სული ისეთის ანდერძით ხელში, რომლითაც მან უწილადა წერა-კითხვისა და ქუთ. დრამატიულ საზოგადოებას და აგრეთვე თვის მოზარდ ახლობელთაც თვალსაჩინო თანხა თვისის ნაამაგევიდან.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება, ძვირფასო მეგობარო!

**ივანე ელიაშვილი.**

## სვანეთის სამთავროს უკანასკნელი დღეები*)

(ისტორიული ამბავი)

დროთა ვითარების გამო განხეთქილებამ იჩინა თავი სვანეთში და ეს იყო პირველი მიზეზი, რომ რუსეთი სვანეთის საქმეში ჩაერია. თავ. დადიშკელიანების სამფლობელო ორ მოწინააღმდეგე ნაწილად გაიყო. მათი განხეთქილებით სარგებლობდნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს მთავრები და აგრეთვე ახლო-მახლო მთიულები და ყოველგვარ შევიწროვებას აყენებდნენ დადეშკელიანებს. მათ შინაური ჭირვარამი ეყოფოდათ და გარეულ მტრებს ველარ გაუძლეს, ეს იყო მიზეზი, რომ ჩებუხევის მფლობელმა თავ. ციოხო (მიხეილ) დადეშკელიანმა და ბეჩოსა და ეწერის მფლობელმა თათარხან (ნიკოლოზ) დადეშკელიანმა თხოვნით მიმართეს მაშინდელ საქართველოს მართველს ბარონ როზენს მიეღოთ ისინი რუსეთის მფარველობის ქვეშ.

თავ. ციოხისა და თათარხანის თხოვნა აღსრულებული იქმნა. რუსის იმპერატორმა ისინი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ და დაამტკიცა ისინი თავიანთი სამფლობელოების უფროსებად.

რუსის მფარველობამ ვერ მოსპო დადეშკელიანებთა შორის უთანხმოება და ჩხუბი.

1842 წელს გარდაიცვალა ჩებუხევის მფლობელი ციოხი, რომელსაც დარჩა მცირე-წლოვანი მემკვიდრე თოთხმეტი წლის კონსტანტინე.

თათარხან დადეშკელიანის შვილებმა ისარგებლეს მითი, რომ ჩებუხევის მფლობელი თავ. კონსტანტინე მცირეწლოვანი იყო. 1843 წელს დაეცენ მის სასახლეს, ამოხოცეს 17 კაცი მისი მსახური, დაატყვევეს და თან წაიყვანეს მისი და. სახლი და კოშკი კონსტანტინესი ცეცხლს მისცეს.

შემთხვევით სიკვდილს გადარჩენ კონსტანტინე და მისი ძმები, რომლებიც ამ დროს თბილისში იმყოფებოდენ. თავ. კონსტანტინეს ამ ამბავმა გული მოუკლა, დაუყონებლივ მან რუსის მთავრობას დახმარება სთხოვა. დახმარებას აგრეთვე სამეგრელოს მთავარს დადიანსაც სთხოვდა. რუსის მთავრობამ სიტყვით დიდი მონაწილეობა მიიღო კონსტანტინეს საქმეში, მაგრამ საქმით კი დახმარებას არ უწევდა. არც ჯარის გაგზავნა სცნეს საჭიროთ. 8 თვის შემდეგ თითონ თავისი ძალღონით შესძლო თავ. კონსტანტინემ თავისი სამფლობელოს მტრებისაგან განთავისუფლება. ბოლოს 1846 წელს საქართველოს მთავარმართებელმა ვორონცოვმა თითონ შეარიგა მოჩხუბარი დადეშკელიანები. ამ შერიგებას დიდი ხნის ვადა არ ჰქონია. მოწინააღმდეგეთა გულში შური და სიძულვილი ისევ ძველებურად იყო ჩამარხული, მხოლოდ შერჩეულ დროს უცდიდენ ორთავე პარტია.

ზამთარში 1855 წელს, თავ. კონსტანტინეს უმცროსმა ძმამ თავ. ისლამმა თოფით მოჰკლა თავ. ჯანსუხი დადეშკელიანი. თუმცა ამ მკვლელობის დროს თავ. კონსტანტინე შინ არ იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი და აგრეთვე კნ. დადიანისა ყველაფერს ბრალს მკვლელობისას თავ. კონსტანტინეს ახვევდენ თავზედ. თითონ თავ. ისლამი კი მკვლელობის შემდეგ სადღაც შორს გადაიკარგა. რუსის მთავრობა არც ამ მკვლელობის დროს ჩარეულა მაინცა და მაინც დადეშკელიანების საქმეში“. საქმე იმითი გათავდა, რომ გურიის რაზმის უფროსმა თავ. მუხრან-ბატონმა თავისთან დაიბარა თავ. კონსტანტინე და მისი ძმა ალექსანდრე. ალექსანდრეს პაჟის კორპუსი ჰქონდა დამთავრებული, უკვე პორუჩიკის ჩინი ჰქონდა, ნიჟეგოროდთა პოლკში მსახურებდა და მაშინ სვანეთში იყო წასული დროებით. არც ალექსანდრე და არც კონსტანტინე არ გამოცხადდნენ მუხრან-ბატონის ბრძანებისამებრ, არც მიზეზი შეუთვლიათ გამოუცხადებლობისა, მაგრამ ამისათვის დიდათ ყურადღება არავის მიუქცევია და თითქმის მივიწყებასაც მიეცა საქმე.

ცოტა ხნის შემდეგ სვანეთის საქმემ ისევ იჩინა თავი, ამის მიზეზი იყო შტაბის უფროსი პოლკოვნიკი უსლარი. უსლარი უმაღლეს სწავლა დამთავრებული იყო, მეტად ჭკვიან და ნასწავლ კაცად ითვლებოდა და სხვათა-შორის ნასწავლ ფილოლოგადაც ითვლებოდა. ის მსახურებდა ქუთაისში ჯარის უფროსთან თავ. გაგა ინთან. უსლარი არწმუნებდა როგორც თავ. გაგარინს ისე მთავარ. მართებელს ბარიატინსკის, რომ ეხლა დროა მოისპოს ავტონომია, როგორც სამეგრელოსი ისე სვანეთისაც. [illegible] სვანეთი როგორც მიუვალი და ყრუ მხარე ადვილად შესაძლებელი იყო, რომ გამხდარიყო ყველა მეამბოხე და ამბოხების ბუდედ და მაშინ კი ამ მიუვალ მხარეში უკანასკნელებთან ბრძოლა მეტად გაუძნელდებოდა რუსის მთავრობას. ამისათვის რაც უფრო ადრე მოისპობოდა სვანეთის სამთავრო და დამორჩილდებოდა რუსეთს, მით უფრო კარგი იყო. ყოველ შემთხვევაში საჭირო იყო, უსლარის აზრით, საბოლოოთ გამორკვეულიყ თავ. დადეშკელიანების დამოკიდებულობა რუსის მთავრობასთან, ვინაიდგან ისინი მას სრულიად არ ემორჩილებოდნენ. საქართველოს მთავარმართებელი თავ. ბარიატინსკი ერთბაშად არ დასთანხმდა უსლარს. ბარიატინსკი საზოგადოთ წინააღმდეგი იყო უბრალოთ აქეთ-იქით ჯარის გაგზავნისა. ბარიათინსკის უნდოდა მხოლოდ გაეგზავნა სვანეთში ლორის-მელიქოვი და გამოეძია მიზეზი თავადი ჯანსუყ დადეშკელიანის მოკვლისა და აგრეთვე მიზეზი თავ. ალექსანდრე და კონსტანტინეს გამოუცხადობლობისა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოვიდა საჩივარი მთელი სვანეთის მცხოვრებლებისაგან, რომლებიც კონსტანტინეს უჩივოდენ სხვა და სხვა შევიწროვებას. მაშინ თავ. ბარიათინსკიმ შესცვალა აზრი და 1857 წელს ივლისში ბრძანა ჯარის გაგზავნა სვანეთში.

რუსის ჯარი პოლკოვნიკ უსლარის უფროსობით ოთხი მხრიდან გაიგზავნა სვანეთში—სამეგრელოდან, ცებელდიდან, კისლოვოდსკიდან და ნალჩიკიდან.

გაიგო თუ არა თავ. კონსტანტინემ სვანეთისკენ ჯარის დაძვრა, მაშინვე სვანეთიდან წამოვიდა და პოლკოვნიკ უსლარს შეაგება. კონსტანტინე უსლარს ემუდარებოდა ჯარი შეეჩერებინა და მიეცა მისთვის საშვალება ემართლა თავი თუ კი მას რაიმე ბრალსა სდებდნენ.

უსლარმა თავ. კონსტანტინე ქუთაისს გაგზავნა თავ. გაგარინთან და თითონ კი განაგრძო გზა. როდესაც გაგარინმა თავ. კონსტანტინე თავის მისაღებ ოთახში დაინახა განცვიფრებულმა და შემკრთალმა საჩქაროთ მდევარი აფრინა პოლკოვნიკ უსლართან, უთვლიდა მას უკან დაბრუნებულიყო, რადგანაც აღარ ჰქონდა მის გალაშქრებას სვანეთისაკენ არავითარი მიზანი, ვინაიდან თავ. კონსტანტინე ქუთაისში იმყოფებოდა და ბოდიშს იხდიდა.

ავ აბესაძე.

(დასასრული იქნება)

*) იხ. გაზ. „საქართვ.“ № 200.

## ზემო აჭარა

ორ გვარი უბედურება ეწია ზემო აჭარას: შიმშილი და საქონლის ჭირი. სამი თვის გამუდმებულმა გვალვამ სულ ერთიანად გაახმო ნათესი, აქაიქ გახმა ხეებიც. ცარიელ ჩალების ჭრა უკვე დაიწყეს და უნდა თვალით ნახოს კაცმა მხვნელ-მთესველთა დამწუხრებულ სახე და წარმოიდგინოს მათი მომავალი უბედურება. ზემო აჭარლების უმთავრეს საზრდოს სიმინდი შეადგენს. რაც უნდა კარგი წელიწადი დაუდგეს, სამყოფი სიმინდი მაინც არ მოდის, რადგან სახნავსათესი ადგილები ნაკლებად არის და იგიც მოუხნავი არ ვარგა. წრევანდელმა დიდი ხნის გვალვამ ეს საშუალებაც სრულიად მოსპო, რადგან სარწყავი არხები სავსებით ამოშრა და ამოიწურა. სიმინდს აჭარლები მეტნაწილად გურიაში ყიდულობენ, წელს კი ადგილობრივ ხულოში იყიდებოდა ეგრედ წოდებულ სახაზინო დუქანში ფუთი 1 მ. 85 კაპ. ასეთმა დუქნებმა დიდი სამსახური გაუწია მთელი ბათუმის ოლქის მცხოვრებთ, მეტადრე ზემო აჭარაში და შავშეთში. ესენი კოოპერატიული დუქნის მაგიერობას ასრულებენ და დიდად შველიან ხალხს. ხულოს სახაზინო დუქნის ვაჭრობა დღეში ორასიდგან სამას მანეთამდე ადის. უმთავრესად იყიდება სიმინდი, ხშირად ორი-სამი ფურგუნი დაიცლება და საღამოს არაფერი რჩება. ვინ იცის რა დღე დაადგებოდა ხალხს ასეთი დუქნები რომ არ ყოფილიყო! ეს დუქნები გაიხსნა ბათუმის ოლქის გუბერნატორის თანაშემწის ბ. ლაჩინოვის ინიციატივით, რითაც მან უდიდესი ამაგი დასდო ხალხს. მეორე უბედურება აჭარლების-საქონლის ჭირი არლავნიდან შემოიტანეს. გაჩნდა იელებზე, სადაც საქონელი შეჭუჩებულია და დიდძალი პირუტყვი იმსხვერპლა. საექიმო დახმარებამ დროზე ვერ უსწრო, რადგან მთელ ოლქში

ერთად-ერთი ბეითალი არის, ჭირი კი ყველგან არის მოდებული. ამოდენა რაიონში ერთი კაცი რას გახდება, როდესაც ჭირის საწინააღმდეგო წამალიც კი აკლია. ამ ტომ საქონლის ჭირი კიდევ ბევრს ხოცავს, მიუხედავად იმისა, რომ ბეითალი ა. ნადირაძე ბევრა შრომას ეწევა ჭირის საწინააღმდეგოდ. ჭირი ილებიდგან სოფლებშიც გადავიდა და მანამდი იმძვინვარებს, სანამ დიდი თოვლი არ მოვა და საქონელს ბოსლებში არ ჩაამწყვდევენ. ძნელი სათქმელია, რამდენი მანეთის ზარალი მოუვიდა ზემო აჭარას. ბევრია იმისთანა, რომლებმაც ოციოცდახუთი სულისაქონელი მიწაში ჩამარხა და შინ ცარიელი ბარგი-ბარხანით დაბრუნდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ეხლანდელ საქონლის ფასს, დანამდვილებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ზარალი ათიათასობით იქნება. უმეტესი ნაწილი საქონლისა შეუფასებელი ჩაიმარხა მიწაში და ამიტომ ხაზინიდგან პატრონები ვერაფერს მიიღებენ. ამ უბედურობას ნაადრევი თოვლიც ზედ დაერთო, დაოვა ახლო-მახლო მთები და თოვლმა სოფლებსაც უწია. დორჯომის ხეობაში და დანის პარულზე, სადაც სიმინდის კარგ მოსავალს ელოდნენ, თოვლმა დაჰფარა და ეს იმედიც გაჰქრა. ეხლა სიმინდს სიცივე დაჰკრავს და აღარ დამწიფდება. გვალვების გამო აჭარაში თივის მოსავალიც ერთი-ორად ნაკლები იყო. ყველა ეს ერთად დიდ უბედურებას უქადის მცხოვრებთ მომავალ წელში და დიდი ზომები არის საჭირო, რომ ხალხი სიმშილის მსხვერპლი არ გახდეს. კიდევ კარგი, თუ ის სახაზინო დუქნები დაიხსნება იქ, როგორც ეხლა, საშვალება ექნებათ სიმინდი ადგილობრივ იყიდონ და ჩარჩებს არ ჩაუვარდენ ხელში, თუ არა და საჭიროა საზოგადოების ფართო დახმარება, რომ სიმინდის ყიდვის საქმე ადგილობრივ მოეწყოს. წელს გურიაში დიდ მოსავალს მოელიან, ადგილობრივ მთელი მოსავალი საჭირო არ იქნება, ამიტომ საჭიროა ეხლავე მოეწყოს სიმინდის ყიდვის საქმე, რომ ზედ-მეტი სიმინდი გურიიდგან სხვაგან არსად წავიდეს და აჭარლებს მიაწოდონ ფასად. „სიმშილის საშინელება ყურთა არა ისმინებისო“ გამიგონია და ვისაც უნდა მოეძმე აჭარლები ამ საშინელებიდგან დაიხსნას, ეხლავე უნდა დაგვეხმარონ.

რით და როგორ, შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

მოლა ეფენდი.

# სოფლად

9. უჯარმის საზოგადოება. იორის ხეობა.

კვლავ სოფლად მიხდება მგზავრობა. ვაზიანიდან საფოსტო ეტლით სოფ უჯარმისკენ გავეშურე. თბილისიდან ვაზიანამდის და აქედან ვიდრე სამთიქალამდე გადაჭიმული ვაზიანამდის და აქედან ვიდრე სამთიქალას გადავხედავთ უფერული ტრიალი მინდვრებია და, რომ მიუახლოვდები მუხრავანის არე-მარეს, ლამაზი ადგილებია.

სოფ. მუხრავანი მაღლობ ადგილზედ არის გაშენებული და შორს არე-მარეს დასცქერის. ეს ის მუხრავანია, როდესაც პირველად რუსის ჯარი შემოვიდა, ქართველების ჯარს აქა ჰქონდა ბინა, ეს მათი სტრატეგიული პუნქტი იყო. მას შემდეგ აქ დამკვიდრდნენ რუსის ცოლიანი ჯარისკაცები და ეხლა 30 კომლი ცხოვრობს.

ვიდრე სოფ. მუხრავანს გაუვლიდეთ, რომელსაც გზა-ტკეცილი ძირს უვლის, ბახმეტევის ადგილ-მდებარეობაზედ უნდა გავიაროთ, აქ სოდის მადანია და ქარხანა მუშაობს, ნუშისა და ხილის ბაღებია გაშენებული და მასთანვე მდელ ამ ადგილ-მდებარეობას თავის სოდის მადნით და ქარხნით, ბახმეტევის კარმიდამოთი ლამაზი მოხაზულობა აქვს.

და ეს მამული ყოფილა კიკო ჩოლოყაშვილისა!

შევედით სოფ. უჯარმაში. სიტყვა უჯარმა წარმოსდგა „უჯარიმოდან“, ე. ი., საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ეს სოფელი არაფერ გადასახადს არ იხდიდა, რადგან აქ ქართველი მეფეების რეზიდენცია იყო.

დღეს ამ სოფლის მამული სახაზინოა და ზომით 300 დესეტინას არ აღემატება, 100 კომლი ქართველი გლეხი ითვლება, ამათ ეს მამული არ ჰყოფნით, მიდიან სოფ. მუდანლოსკენ სხნავთ ან არა, და ჩოლოყაშვილის მამულს იღებენ იჯარით.

ხელ-ახალი სამამასახლისოების შეჯგუფების შემდეგ უჯარმის საზოგადოება შედგა, რომელშიაც შედიან შემდეგი სოფლები: უჯარმა, გორანა, გომბორი—რუსები ცხოვრობენ, ასკილოური, სასადილო, რუსიანი—რუსები ცხოვრობენ, ქატი, ოთარაანი, მუხრავანი—რუსები ცხოვრობენ, კალიაკინსკოე და ნოვო-ნიკოლაევკა—რუსები სცხოვრობენ, საცხენისი, ნასომხარი და მირკიტანთ-ველი. 450 კომლი ითვლება.

ვერა და ვერ იქნა სოფლად მართლ-მსაჯულების და ადმინისტრატიულის მოწესრიგება.

ხელ-ახალი სამამასახლისოების შეჯგუფება-გადაჯგუფებამაც შეცდომები გამოიწვია. არავითარი ცვლილება არ შეიტანა გლეხის ცხოვრებაში, პირიქით უფრო მეტი ხარჯი დააკისრეს, სამართალი ისევ ძველებურია, ოცისთავებმაც ვერა უშველეს რა სოფელს. იგივე უსამართლობა და თვითნებობა სოფლის მოხელეებისა სოფლად ისევ ჰსუფევს.

დასამტკიცებლად უჯარმის საზოგადოებას წინ გვიდევს, ამ საზოგადოების მამასახლისი მუხრავანელი რუსია, კანცელარია სოფ. უჯარმაში დაარსდა და გუბერნიის საკრებულომ დაამტკიცა, შენობაც იქირავეს სამის წლის ვადით, შეაკეთეს და ქირას იხდიდნენ წლიურად 150 მან.

მუხროვანელმა მამასახლისმა თავის ნებით სოფ. მუხრავანში გადაიტანა კანცელარია და ქირა 300 მან. დააკისრა უჯარმის საზოგადოებას, ჯერ ერთი—საზოგადოების ცენტრს დაშორდა და მეორეც—ხარჯიც ერთიორად მოემატა.

ოცის თავებმა მიმართეს მომრიგებელ-შუამავალს თ. დ. მ. დ. ამილახვარს მამასახლისის თვით-ნებობის საქციელის შესახებ.

და თავადმა შუამავალმა არ ინება ყურადღების მიქცევა მათ კანონიერ საჩივარზედ.

რაც შეეხება უჯარმის სოფლის მოხელეების გადასახადს, ყოვლად შეუწყნარებელია თ. დ. მომრიგებელ შუამავლის ამილახვრის დადასტურების მხრივა.

უჯარმის საზოგადოების ხარჯის გამღები 400 კომლს არ აღემატება და ამათ იმდენივე აქვთ დაკისრებული, რაც დიდ საზოგადოებებს, ე. ი., მარტყოფისა,—რომელიც 1000 კომლს შეიცავს. პატარძეულსა—1300 კომლია, საგარეჯოსი ამდენივეა და სხვა.

უჯარმის საზოგადოება ინახავს და ხარჯს აძლევს: მამასახლისს—500 მან., მწერალს—820 მან., მის თანაშემწეს 360 მან., ორ სტრაჟნიკს 720 მან., სახლის ქირა—300 მან., მოსამსახურეს—180 მან., გათბობა-განათება—100 მან., კანცელარიის ხარჯი—100 მ., სამ მოსამსახურეს—150 მან., სკოლის მოსამსახურეს—180 მან., გზირს—180 მან., მოულოდნელი ხარჯი—200 მან. და თითო კომლი იხდის მამასახლისის და ნაცვლის სასარგებლოდ თითო მანეთს, ე. ი., მთელი საზოგადოება იხდის 400 მან.

მთელი ჯამი უჯარმის საზოგადოების ხარჯს შეად გენს-4190 მან. მაშასადამე თითო კომლს გამოაქვს არა ნაკლებ 10 მან. 50 კაპ.

თბილისის მაზრის სამამასახლისოების ხარჯს არ უნდა აღემატებოდეს თვითოეულ კომლზე 5 მანეთისა, როგორც გუბერნიის საკრებულომ დაამტკიცა.

თუ რომ თიანეთის სამამასახლისოში 1400 კომლი ითვლება და ხარჯის გამღები 900 კომლია, ერთი მწერალი ასდის, რატომ უჯარმის საზოგადოებას, რომელიც 400 კომლს არ აღემატება, ორი მწერალი სჭირდება?!.

რატომ თავადი მ. დ. ამილახვარი—მომრიგებელ-შუამავალი თბილისის მაზრის მეორე რაიონისა ამას ყურადღებას არ აქცევს და გლეხების მდგომარეობაში არ შედის?

იქ სადაც დიდი საზოგადოება არის, საქმეც დიდია და მომუშავენიც ბევრი სჭირდება, სადაც ერთი ორად და სამად ნაკლებია, მაშასადამე საქმეც ნაკლებია და შრომაც ნაკლები უნდება, რასაკვირველია, ჯამაგირიც ნაკლები უნდა იყოს.

ეს აკსიომა არის, ამ ელემენტარულ შემეცნებას ყველა მოსამართლე ანგარიშს უნდა უწევდეს.

სხვა საზოგადოებებშიც იგივე შეცდომებია და თავის დროზედ მექნება მათზედ საუბარი, ჯერეთ ეს კმარა და ჩემს მგზავრობას შევეხები.

Legatus.

(შემდეგი იქნება)

# დაბა-სოფლები

ს. რუისი (გორის მაზრა) სიღარიბისაგან და უზომო სიძვირისაგან შეწუხებულნი ოჯახები იმ ჯარისკაცებისა, რომელნიც გაწვეულ იქნენ ამ წლის პირველ თებერვალს (წიოლებილეთებიანია) სამხედრო სამსახურში, სთხოვენ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებას, ბოძოს შუამდგომლობა სადაც ჯერ არის, რომ მათ მიეცეთ ის მცირე შემწეობა ხაზინიდან, რომელიც ეძლევათ საზოგადოდ ჯარისკაცების ოჯახებს. პირველ თებერვლიდან დღემდისინ მათ არაფერი შემწეობა არ მიუღიათ და შვიდი თვის განმავლობაში ითმენენ ყოველგვარ გაჭირვებას. ამ ოჯახებისა ერთმა ჯგუფმა მიმართა ადგილობრივ მომრიგებელ შუამავალს, მაგრამ ვერაფერი გადაჭრილი პასუხი ვერ მიიღო და დაღონებულები მოუთმენლად ელიან იმ დღის, როდესაც აღირსებენ ამ შემწეობას. ეხლა ზამთრის პირია და ოჯახს ათას გვარი ხარჯი და მომზადება სჭირდება, მაგრამ ხსნა არსაით არის.

იმედია ქართველ საქველმოქმედო საზოგადოება გაუწევს შესაფერს დახმარება-შუამდგომლობას.

ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

რუისელი.

# წერილი რედ. მიმართ

მადლობის წერილი

დიდად პატივცემულო, ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ მასწავლებელ ქალს მარიამ ალექსის ასულს კალანდაძეს, რომელმაც იკისრა ჩვენი შვილების მომზადება, გაგვიწია დიდი დახმარება, გზა გაგვიკლია და გვიწინამძღვრა, რათა ჩვენს შვილებს ღირსებოდათ თბ. ქართ. გიმნაზიაში შესვლა. მადლობას ვწირავთ თბილისის ქართველ და ქართულ ქალთა საზოგადოებას საქველმოქმედო საზოგ. მთავარ გამგეობას, რომელთაც მიიღეს თავის თავზე ჩვენი შვილების სწავლისა და შენახვის ყოველივე ხარჯები. ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენი შვილები უფრო უკეთ შესძლებენ დააფასონ ამაგი საქრისტიანო საქართველოსი სამაჰმადიანო საქართველოსადმი. სულითა და გულით შევნატრით ჩვენმა შვილებმაც გაუწიონ ღირსეული სამსახური ჩვენს ძვირფას სამშობლოს, გაერთიანებულს ახალ საქართველოს.

მაჰმადიანი ქართველები ბათუმის ოლქიდან: დურსუნ-აღა ქათამიძე სულეიმან აღა ბეჟანიძე, დურსუნ-აღა მოწყობილი, ქემალ ნულაიდელი.

# შემოწირულება

(დასასრული. იხ. „საქ“. № 200).

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში შემდეგს:

16 დეკემბერს, 1915 წელს იყო მოწვეული საზოგადო კრება სასტუმროების და სხვათა პატრონებისა, რომელთაც დაადგინეს: შეკრიბონ ფული მეომართა დასახმარებლად საახალწლოდ. არჩეულ იქმნა კომისია, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ნ. ბ. ენიკოლოფოვი, ხოლო ხაზინადრად მე.

შემომწირველთა სია:

წულუკიძე (სასადილო) 5 მან., გუცაძე (სასადილო) 10 მ., შეპანსკი (ინტერნაციაონალი) 10 მა., გიგიბერია (კაფე პარიჟი) 10 მ., იოსელიანი (აფე ბორდო) 10 მ., კორჩილავა (კავკაზი) 100 მ., პარენიანი ამაიაკი 25 მ., ზელცერი (სევერნი ნომრები) 60 მ., როტი (ორიანტი) 200 მ., მაჰავარიანი (უნივერსალი) 15 მ., კურცი (გრანდ ოტელი) 50 მ., ჰიჰინაძე (არტისტიულ საზ.) 100 მ., გეგეჭკორი 50 მ., რუსული კლუბის ბუფეტჩიკი 5 მ., ბონდარენკო (ანონნა) 200 მ., გუგუშვილი (სერბია) 5 მ., აბრამიანცი (ბირუზა) 10 მ., შამდიანი (ვერსალი) 15 მ., ბარსეღოვი (ბორჯომი) 10 მ., სპარაპ ტიანცი (თელავი) 10 მ., მეძმარიაშვილი (აპოლო) 20 მ., ეძგვერაძე (რომა-ბორდო) 20 მ., ბაკურაძე (იტალია) 25 მ., მკალავიშვილი (ოლიმპია) 10 მ., ტერ-მინასოვი (კავშირი) 25 მ., ჩიქოვანი (ივერია) 20 მ., ჰიჰინაძე (არარატი) 10 მ., ენიკოლოფოვი ნ. ბ. 50 მ., ტერ-არუთინოვი (სასადილო) 10 მ., შაიშმელოვი (ბორჯომი) 10 მ., ხეჩუევი (ორიგინალი) 15 მ., შოთაძე (სასადილო) 10 მ., სანიკიძე (სასადილო) 10 მ., ბაქრაძე (სასადილო) 10 მ., ტიტირევი (სასადილო) 15 მ., ხელაშვილი (სასადილო) 15 მ., ჰიჰინაძე (სასადილო) 10 მ., ბურდულაძე (სასადილო) 10 მ., სიტატაშვილი (სასადილო) 10 მანეთი. სიხარულიძე (ვეტცელი) 200 მ., სასტუმრო სვეტის პატრონი 50 მან.

ალექსი ხუნდაძის, დ. მაჭავარიანის და მარკოზ კირტაძისაგან შეკრებილი. სია № 1.

ხომასურიძე (ფლორიდა) 20 მ., ბოლქვაძე (ფრანცია) 15 მ., ქურტაური (სასადილო) 15 მ., შიხიანცი (სასადილო) 5 მ., მირიანაშვილი გრიგორი 6 მ. პულსი ვალენტინა 5 მ., ელბრუსის პატრონი 5 მ., სასადილო ბელგიას პატრონი 5 მ., ფარსადანოვი (ღვინის სარდაფი) 25 მ., ივანოვი (ნომრები) 5 მ., გეგიაძე (ლასკუტი) 5 მ., ოსტერიის პატრონი 3 მ., ახალი კლუბი 50 მ., ალექსანდროვსკის ნომრების პატრონისაგან 20 მ., სერგო კახთელაძე, გიორგი არჩვაძე 10 მ.,

რაჟდენ იოსელიანის და სერგო გოცირიძის მიერ შეკრებილი სია № 2.

გუგავა (იარი) 10 მ., სიხარულიძე 58 მ., გიორგაძე 3 მ., ბერიშვილი 3 მ., ცოკურაშვილი 3 მ., ჟღენტი 5 მ., მესტვირიშვილი 2 მ. 50 კ., სერგო ჯანბერიძე 3 მ., გიორგი მარშანია 3 მ., ძამაშვილი 3 მ., ბაკურაძე 2 მ., რაინგოლდი ალექს. 5 მ., გიორგობიანი 7 მან.

ენიკოლოფოვის მიერ შეკრებილი სია № 3.

მაჭავარიანი 10 მ., ს. ჯანბერიძე 3 მ., სეფიაშვილი 5 მ., კობეშავიძე 3 მ. იბრაგი ოღლი 5 მ., ხოჯაევი 3 მ., ასლანიანცი 3 მ., მკრტიჩიანცი 3 მ., კობერიძე 3 მ., ჩახავა 2., კოზიშვილი 3 მ., ინასარიძე 3 მ.

ნ. ბ. ენიკოლოფოვის და მ. ქიიავას მიერ შეკრებილი სია № 4.

აბაიშვილი ნესტორ 30 მ., სიმონ გამყრელიძე 10 მ., აკოლაშვილი ისააკი 10 მ., კონსტანტინე მჟალაძე 10 მ. სტეფანოვი 5 მ., მირაქოვი გეურქა 5 მ., ცაგავიანცი 15 მ., გეორგობიანი ილიკო 15 მ., მერაბოვი კონსტანტინე 5 მან., ფოჩხიძე ალექსანდრე 5 მან., კოშტოიანცი ზურაბი 10 მ., ასლანიანცი 5 მ., საფაროვი 5 მ., იტამგულევი 10 მ., მამედ უსეინი მექტაშოღლი 2 მ., იობაშვილი სტეფანე 10 მ., პაიჭაძე ერასტი 10 მ., ერამოვი 10 მან. სულ 2866 მ. 50 კ.

ბოდიშს ვიხდი ხელის მომწერთა წინაშე, რომ ზემოხსენებული სია არ იყო გამოქვეყნებული თავის დროზედ ჩემ მიერ დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო. ყოველივე დამამტკიცებელი საბუთები, რომლებზედაც არის შემომწირველთაგან ხელი მოწერილი, ინახება საზოგადოების კანცელარიაში (ბარონის ქუჩა, სახლი თამამშევისა, № 6 ლასკუტის ნომრები), და ვინც დაინტერესებული არის, შეუძლიან მიმართოს საქმის მწარმოებელს ი. კ. რაზმაძეს, საღამოს რვა საათიდან ათ საათამდე გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

პატივისცემით ს. ხხირტლაძე.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი


# იყიდება

ბოჭკები და ქირავდება სარდაფი ღვინის ხსხდელით და მთელის საჭირო ნივთებით. წერილობით მიჰმართეთ. ქ. ქუთაისი, ვასილიევი, ფოსტის ყუთი № 67. (3—322—2)

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სად. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სად. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სად. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სად. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სად. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სად. |
| თელავიდან | № 3, | 7 „ | 58 „ | სად. |

# თუ გსურთ მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა;
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი, სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდომ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гвату, Справочная контора

# საჭირონი არიან მუშა ქალები „მირის“ თამბაქოს ქარხანაში

ადრესი: ავლაბარი, როზოვი პლოშჩადი.

(8—321—3)

განათლებისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა კურსები ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში. (20—231—12)

# სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23--25 ვერსის მანძილზე, იყიდება 300 დესეტინამდე

# რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანახშირედ.

იმავე მამულში ეძებენ

მერძეოების, მეურნეობის მცოდნე მოზიარეს,

რომელსაც უნდა ჰყავდეს ასამდე მეწველი ძროხა.

დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაიშვილის ფართლეულობის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.

(10—224—8)

გამოვიდა და იყიდება

# კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

(ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული, შედგენილი ს. ოცხელის მიერ. ფ. ყდით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.

პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Сслово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.

სასწავლო ოლქმა თანახმად მზრუნველის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ ирeподаванiе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.

(თ.—225—8)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

# „განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკ“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Табарткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Табарткиладзе.

# თევზის მრეწველნი ძმ. მეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და საგაჭრო სახლ. „ძ. მეზველოვის-ზვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ზაზუნჭალა, მცირე მარილიანი, შავი „ოშეზიხი“ ხიზილალა, ჩვეულებრ ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს ბევრნაირი მიღებული ყოველგვარი კონსერვები და ხარონკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხანგრძლივ ინახება.


ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზაფის შესახვევი № 4.